ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29223282**
თარიღი:**24/11/2022**

**ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით (წერილი N 28-282231281, 08.11.2022 წ.) მომართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ და ითხოვს საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხი განსახილველად დაეწერა იურიდიულ საკითხთა კომისიას, სადაც საკითხის განხილვის პროცესში გაიმართა კონსულტაციები ქ.თერჯოლაში მცხოვრებ მოსახლეობასთან.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადასტურებს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი არის სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც აქვს დიდი დამსახურება თერჯოლის წინაშე და მიზანშეწონილად მიაჩნია ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ სკვერს მიენიჭოს ლაშა გოგიაშვილის სახელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების“ შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის მანუჩარ რობაქიძის ინიციატივის (წერილი N 28-282231281, 08.11.2022 წ.), ქ.თერჯოლაში მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ამსახველი 2022 წლის 14 ნოემბრის სხდომის ოქმის, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 22 ნოემბრის დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

**მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის სახელმწიფო მოღვაწის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭება მოცემული ცხრილით განსაზღვრული და ქუჩის გავრცელების X და Y კოორდინატების შესაბამისად:**

| x | y |
|---|---|
| 332836.14 | 461944.92 |

**მუხლი 2.** განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი